ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №16

ქალაქი ქუთაისი 25 იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ,
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
წარმოდგენილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის **კახა ენუქიძის** სახით,
მის: ბაღდათი, წერეთლის ქ. №9
საიდენტიფიკაციო ნომერი: №2225064471
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: № 200122900
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,
შ.პ.ს. „ბაკო 2009“ , წარმოდგენილი მისი დირექტორის **ფრიდონ ბარათაშვილის** სახით,
მისამართი: ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქ., №1
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212920017
საბანკო რეკვიზიტი: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშსწორების ანგარიში: № GE71TB7751736020100002
(შემდგომში მიმწოდებელი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის“ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვარის N37 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობის და საფასურების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად.

1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების შესყიდვა.
1.2 კლასიფიკატორის კოდი – 50100000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 800 (რვაასი) ლარს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწიოს მომსახურება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვარის N37 დადგენილების „ტექნიკურ რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობის და საფასურების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად .

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 ,,შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2 „შემსყიდველი“–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლი“–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.-ს ანგარიშფაქტურა (დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში)

6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.

6.3 ანგარიშსწორების ვადაა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია

8.2 ,,შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

8.3 ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი“–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:

9.3 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის 500 (ხუთასი) ლარს.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.
9.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
9.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
10.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე /კ.ენუქიძე/

შპს „ბაკო 2009“ -ს დირექტორი / ფ. ბარათაშვილი/